შ რ ო მ ი თ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

 # - ___/__/___

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 201_ წლის _____ _____ ქ. თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

1. **შპს "_____",** კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი: _____, ფაქტობრივი მისამართი _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით, შემდგომში წოდებული, როგორც **„დამსაქმებელი"**

2. ფიზიკური პირი _____ _____, პირადი ნომერი _____, მცხოვრები მისამართზე: _____, პირადობის მოწმობის სერია _____ შემდგომში წოდებული, როგორც **"დასაქმებული";**

საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულებად წოდებული) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამსაქმებელი" "დასაქმებულს" ასაქმებს _____ თანამდებობაზე.

1.2. "დასაქმებულის" შრომითი და თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები (შესასრულებელი სამუშაო) მოცემულია თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

დასაქმებულის თანამდებობრივი ინსტრუქცია:

თანამდებობა	
სამუშაო დღის დასაწყისი	
სამუშაო დღის დასასრული	
დასვენების დღეები	
შესასრულებელი სამუშაო და უფლება მოვალეობები	1.
	2.
	3.
	4.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით და აქტებით (ბრძანება, ინსტრუქტაჟი, სტანდარტი, დებულება და სხვა) გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი

შესრულება, აგრეთვე ხელშეკრულებით მასზე ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულებისას დაიცვას შრომის ინსტრუქციები.

2.1.2. დაიცვას და არ გაავრცელოს შრომითი მოვალეობისას მისთვის ცნობილი ან განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არ ეკისრება კანონის ძალით;

2.1.3. უზრუნველყოს შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა, აგრეთვე შეასრულოს თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებული სამუშაო;

2.1.4. სამუშაო შეასრულოს პირადად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები წერილობითი ფორმით თანხმდებიან სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე

2.1.5. დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

2.1.6. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას, გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ და დაიცვას ასეთი ქონების გამოყენებისათვის დადგენილი ნორმები.

2.1.7. უზრუნველყოს დამსაქმებულისათვის იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა დასაქმებულის მოქმედებით ან მისთვის მიბარებული ქონების განადგურებით.

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად თავისდროულად აანაზღაუროს დასაქმებულის მიერ გაწეული შრომა.

2.2.2. უზრუნველყოს "დასაქმებული" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო სათანადო სამუშაო პირობებით და ტექნიკური საშუალებებით;

2.2.3. უზრუნველყოს "დასაქმებული"-სათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის წესების შესახებ.

3. მხარეთა უფლებები

3.1. დამსაქმებელს უფლება აქვს:

3.1.1. მოსთხოვოს "დასაქმებულს" კანონით, ხელშეკრულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულ ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების კვალიფიციური და ჯეროვანი შესრულება;

3.1.2. მოითხოვოს "დასაქმებული"-საგან ინფორმაციის წარდგენა სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

3.2. დასაქმებულს უფლება აქვს:

3.2.1. მიიღოს ინფორმაცია მასზედ დაკისრებული სამუშაოების შესახებ;

3.2.2. მოითხოვოს "დამსაქმებელისაგან" შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა.

3.2.3. კანონის შესაბამისად ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში და უქმე დღეებში, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

4.2. ხელშეკრულება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან 201_ წლის _____ _____ ჩათვლით.

4.3. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი კვირით ადრე მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ სურვილს ხელშეკრრულების შეწყვეტასთან ან სხვა პირობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულლება ითვლება გაგრძლლებულად კიდევ 1 (ერთი) წლის ვადით. აღნიშნული მექანიზმი მოქმედებს ხელშეკრულების ყოველი ვადის გასვლის შემთხვევაში.

4.4. ხელშეკრულება წყდება:

4.4.1. ვადამდე მხარეთა შეთანხმებით.

4.4.2. ვადამდე დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ხელშეკრულების პირობების) დარღვევის შემთხვევაში;

4.4.3. ვადამდე დასაქმებულის ინიციატივით, თუ იგი 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით გააფრთხილებს დამსაქმებელს.

4.4.4. ნებისმიერ დროს, დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

4.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონით ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. შრომის ანაზღაურება

5.1. დამსაქმებელი დასაქმებულს ყოველთვიურად ხელფასის სახით უხდის _____ (_____) ლარს. აღნიშნული თანხა შეიცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა იმ გადასახადს, რომელიც დაიქვითება ანაზღაურების გაცემის დროს.

5.2. ხელფასის დარიცხვა მოხდება ხელფასის დარიცხვის უწყისით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ყოველი საანგარიშო თვის ბოლო კალენდარულ დღეს;

5.3. ხელფასი გაიცემა ყოველი საანგარიშო თვის მომდევმო თვის _____ რიცხვამდე;

5.4. ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დასაქმებულზე ანაზღაურების, აგრეთვე დასაქმებულზე გასაცემი ნებისმიერი თანხის დასაქმებულისათვის ვადაში არ გაცემის შემთხვევაში, დამსაქმებელს არანაირი საჯარიმო სანქცია ან პირგასამტეხელო არ ეკისრება.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან, ვალდებულებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

6.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული აცხადებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით დადგენილ პირობებს.

6.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

დამსაქმებელი _____ დასაქმებული _____

6.4. ხელშეკრულების რეგულირება, მისი მართვა და ინტერპრეტაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან და შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობა.

6.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოში.

6.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულად, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

„დამსაქმებელი“	**„დასაქმებული“**
შპს “_____”	ფ/პ _____ _____
ს/კ _____	პ/ნ _____
დირექტორი: _____ _____	SWIFT:
	IBAN:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

ბ.ა.